



საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება


№ 376 2010 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“.
2. საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და 2010 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 ივნისის № 550 ბრძანებულება.


მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს იუსტიციის საინფორმაციო
აღმინისტროს (დოკუმენტები)
საქმისწარმოვანის სამმართველო
" 04 " 06 2010წ.



დამტკიცებულია

საქართველოს პრეზიდენტის

2010 წლის 3 ივნისის

№ 376 ბრძანებულებით

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია

2010 წელი

შინაარსი

პრეამბულა

1. საჯარო სექტორის ეფექტიანობის გაზრდა და კორუფციის აღმოფხვრა
 - 1.1 საჯარო სამსახურის შემდგომი მოდერნიზაცია
 - 1.2 სახელმწიფო და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა
 - 1.3 სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დახვეწა და კონტროლი
 - 1.4 საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმირება
 - 1.5 საბაჟო და საგადასახადო სისტემების დახვეწა
2. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და კორუფციისაგან

გათავისუფლება

3. მართლმსაჯულების სისტემის საქმიანობის დახვეწა
4. კანონმდებლობის სრულყოფა ანტიკორუფციული თვალსაზრისით
5. კორუფციის პრევენცია
6. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

პრეამბულა

საქართველო, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, კორუფციის მაღალი დონით ხასიათდებოდა. ექსპერტთა შეფასებით XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქვეყნის „შავი“ – ალურიცხავი ეკონომიკა საბჭოთა საქართველოს მშპ-ს 25%-ს აღემატებოდა. ეს პრობლემა შენარჩუნდა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მომდევნო ათწლეულის განმავლობაშიც, და იგი ქვეყნის ცხოვრების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა.

კორუფციასთან აქტიური ბრძოლა ქვეყანაში 2003 წლის შემდეგ დაიწყო. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებიდან კორუფციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად რადიკალური ნაბიჯები გადაიდგა და მცირე დროში უპრეცედენტო შედეგები იქნა მიღწეული.

კერძოდ, ფუნდამენტური ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად გარდაიქმნა და კორუფციისაგან გათავისუფლდა განათლების, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემები, პოლიცია და საჯარო სექტორი. გაიზარდა საჯარო ინსტიტუტების გამჭვირვალობა, ხალხისადმი ანგარიშვალდებულების ხარისხი და ხალხის მხრიდან ნდობა.

აღნიშნული მიღწევები ნათლად აისახა სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებშიც. კერძოდ, საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის (Corruption Perception Index) მიხედვით, 2003-დან 2009 წლამდე საქართველომ 124-ედან 66-ე ადგილზე გადაინაცვლა. ასეთი ნახტომი უპრეცედენტოა ამ რეიტინგის არსებობის ისტორიაში.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციასთან ბრძოლა განგრძობითი პროცესია და მიღწეული შედეგების შენარჩუნებას მუდმივი ძალისხმევა სჭირდება.

2005 წელს მიღებულ იქნა პირველი ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც კორუფციასთან გრძელვადიანი ბრძოლის პრინციპებს აყალიბებდა.

გასული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება და მისი მიზნების განსაზღვრა ხელს უწყობს კორუფციასთან ბრძოლის პროცესს, რადგან წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელო დოკუმენტს პასუხისმგებელ და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

ანტიკორუფციულ სტრატეგიაზე დაყრდნობით მრავალი რეფორმა გატარდა. შედეგად, ინსტიტუციური კორუფცია ქვეყანაში არსებითად დამარცხებულია. ეს 2005 წელს მიღებული საქართველოს პირველი ანტიკორუფციული სტრატეგიის საფუძველზე დაგეგმილი და გატარებული ზომების შედეგია.

ამჟამად საქართველოში, ანტიკორუფციული თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული ვითარებაა. საქართველოს მთავრობის შეხედულებით რეორიენტირება უფრო მეტად პრევენციის ღონისძიებებზე უნდა მოხდეს. შესაბამისად, საჭიროა ახალი მიზნების დასახვა, რომ მოხდეს წარმატებების კონსოლიდაცია და ახალ გამოწვევებთან შესახვედრად მზადება გაუმჯობესდეს.

მიღწეული შედეგების შენარჩუნების, განმტკიცებისა და გაღრმავების, ასევე არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შედეგად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება განახლდეს საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც მოცემულ ეტაპზე ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული გამოწვევების პრევენციისა და მათი ეფექტიანი გადაჭრისკენ იქნება მიმართული.

კორუფცია სხვადასხვა ფორმით ვლინდება და მავნე ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. საჭიროა განისაზღვროს კორუფციისადმი მგრძობიარე სფეროები და ამ სფეროებში გავრცელებული კორუფციული ქმედებების ტიპოლოგია, რომ თავიდან ავიცილოთ ქრთამის, მისაკუთრების, თაღლითობის, გამოძალვის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების, ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის, ინტერესთა კონფლიქტის, ზეგავლენით ვაჭრობის, ინფორმაციის კომერციული მიზნით გამოყენების, ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის შემთხვევები.

ამგვარი კორუფციული ქმედებები, ერთი მხრივ, იწვევს პრობლემებს მაკრო-ეკონომიკური მიმართულებით, ამცირებს ნაყოფიერი ინვესტიციების შესაძლებლობებს, ართულებს სიღარიბესთან ბრძოლას და სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებაში იმედგაცრუებასა და საჯარო ინსტიტუციების მიმართ ნდობის დაკარგვას.

2008 წლის დეკემბერში შეიქმნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. საბჭოს წევრები არიან როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები. საბჭოს მთავარი მიზანია კორუფციის

წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების კოორდინირება. სწორედ საბჭოა პასუხისმგებელი საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, მათში ცვლილებების შეტანისა და შესრულების მონიტორინგისათვის.

დოკუმენტში მოცემულია აღნიშნულ პრიორიტეტულ სფეროებში არსებული ვითარების ანალიზი, დასმულია კონკრეტული მიზნები და დასახულია ამ მიზნების განსახორციელებელი სახელმძღვანელო პრინციპები.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი კორექტივების შეტანა.

ამ სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს და მისი მუდმივი განახლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების (GRECO – ევროსაბჭოს ქვეყანათა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ, OECD ACN – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი და სხვ.) შეფასებები და კვლევების შედეგები.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება დაეყრდნობა ისეთ საერთაშორისო სარეიტინგო კვლევებს, როგორცაა: საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის გლობალური ბარომეტრი და კორუფციის აღქმის ინდექსი, მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, "Global Integrity"-ს მოხსენებები,

მსოფლიო ბანკის "Doing Business"-ის კვლევა და მსგავსი სახის სხვა კვლევები.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლება შეიმუშავებს და დაამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს თემებს სტრატეგიის მიხედვით და რომელშიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნების მისაღწევად და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. სამოქმედო გეგმითვე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, პასუხისმგებელი უწყებები და განხორციელების ვადები.

სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიში წელიწადში ერთხელ წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს და გახდება საჯარო. ანგარიშში დეტალურად იქნება ასახული სამოქმედო გეგმის განხორციელების მსვლელობა. ყოველწლიურად ორგანიზებულ ღონისძიებაზე განხილულ იქნება ანგარიში და განახლდება სამოქმედო გეგმა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკურ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის ტაქტიკურ დონეზე პასუხისმგებელია კონკრეტული სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი. ამასთან, მიზანშეწონილია, თითოეულ უწყებაში გამოიყონ საკონტაქტო პირები, რომლებიც სრულად იქნებიან ინფორმირებული შესაბამისი უწყებისათვის სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების შესახებ. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის

შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის წევრები ყოველ 6 თვეში ანგარიშს ჩააბარებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ კორუფციასთან ბრძოლა ბევრად ადვილია, თუკი დაცულია ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპები. სწორედ ამიტომ არის სტრატეგიის ძირითადი მიზნები ნათელი და ცალსახა. დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს არა მარტო სახელმწიფოს მმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, არამედ კორუფციაზე სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურებასა და კორუფციის პრევენციას.

1. ეფექტიანი და კორუფციისაგან თავისუფალი საჯარო სექტორი

1.1. საჯარო სამსახურის შემდგომი მოდერნიზაცია

მიზანი:

საბოლოო მიზანია ეფექტიანი, ხარისხიანი, გამჭვირვალე, მოქნილი და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული საჯარო სექტორის შექმნა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობის მაქსიმალურ შემცირებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საჯარო სამსახურის პოლიტიკის დახვეწა და მოდერნიზაცია.

არსებული ვითარება:

საჯარო სექტორში გატარებულმა რეფორმებმა მკვეთრად გააუმჯობესა აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება, თუმცა საჯარო სამსახური კვლავ კორუფციული გარიგებების მაღალი რისკის ზონად რჩება. შესაბამისად, საჭიროა რეფორმების შედეგების მუდმივი

ზედამხედველობა და დარღვევის შემთხვევაში, სამართლებრივი რეაგირების ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესება.

დახვეწას საჭიროებს როგორც ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი, ასევე მთლიანად საჯარო სექტორის პოლიტიკა. მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა. საჭიროა პრაქტიკულად დაინერგოს არსებული კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მამხილებელთა და მოწმეთა უსაფრთხოება.

საჯარო სამსახურში კადრების გამჭვირვალედ და სამართლიანად შერჩევისათვის, ნეპოტიზმისა და კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საქართველოში მოქმედებს საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის მთავარი ფუნქციაა საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ბიუროს ფუნქციების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით 2009 წლის ივლისში მოხდა მისი რეფორმირება, ბიუროს ფუნქციებს დაემატა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების აღრიცხვა და შესაბამისი მენეჯმენტი.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- საჯარო სამსახურის პოლიტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- საჯარო სამსახურის საკადრო და კარიერული თვალსაზრისით ღია სისტემად ჩამოყალიბება;

- საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის, დაწინაურებისა და თანამდებობიდან გათავისუფლებისას გამჭვირვალობის, კონკურენტულობის, ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობა, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციისა და დამსახურების გათვალისწინება;

- კორუფციის მაღალი რისკის მქონე საჯარო თანამდებობებზე პირთა შერჩევის ადეკვატური პროცედურების არსებობა;

- საჯარო მოსამსახურეებისათვის ქვეყნის განვითარების დონის გათვალისწინებით ადეკვატური და მოქნილი სახელფასო პოლიტიკის არსებობა;

- საჯარო მომსახურეებისათვის შესაბამისი განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, მათი მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისა და კორუფციული რისკების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით;

- პროტექციონიზმის პრევენცია, რაც ხელს შეუწყობს სისტემის განვითარებას;

- ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვა;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციონირების დახვეწა;

- სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურებისათვის ხელშეწყობა;

- საჯარო სექტორის რაციონალიზაციის პროცესის გაგრძელება;

- საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთთანამშრომლობა;
- შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება;
- საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსის მიღება;
- მამხილებელთა დაცვის შესახებ სამართლებრივი ნორმების დახვეწა;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა თანამშრომლების უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა და დახვეწა.

1.2 სახელმწიფო და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა

მიზანი:

საბოლოო მიზანია სახელმწიფო ორგანოების (ორგანიზაციის, ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში) გამჭვირვალობასა და მომხმარებელზე ორიენტირებული, მაქსიმალურად კომფორტული სერვისის გაწევის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია დაიხვეწოს მომხმარებლისათვის მიწოდებული სექტორული სერვისი და განხორციელდეს მისი ხარისხის მუდმივი მონიტორინგი; შემუშავდეს სერვისის მიწოდების მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურა და უზრუნველყოფილ იქნეს, მათ შორის, მუნიციპალური მომსახურების სტრუქტურებისა და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გამჭვირვალობა.

არსებული ვითარება:

მიუხედავად მთელი რიგი ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებებისა, უფლებების მიმნიჭებელი აქტების გამცემი და, მათ

შორის, მომსახურების მუნიციპალური და ზედამხედველობის სისტემები კორუფციისადმი მგრძნობიარე სფეროდ რჩება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა. სფეროს განვითარებას აფერხებს ინფორმაციის ნაკლებობა. ასევე ხშირია სერვისის მიწოდების დროს ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, მომხმარებლისათვის კონსულტაციის გაწევისაგან თავის არიდება და პროცედურების დადგენილი ვადების დაუცველობა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- სახელმწიფო და ადმინისტრაციული სტრუქტურების მომსახურების სტანდარტების შემდგომი დახვეწა; შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- საზოგადოებისათვის საჯარო სამსახურის ორგანიზაციის, ფუნქციონირების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისათვის საჭირო პროცედურებისა და რეგულირებების ქმედითობა;
- სერვისის მიწოდების პოლიტიკის დახვეწა (მომხმარებელთა საჭიროებასა და მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისი);
- ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება, მათ შორის, „ერთი სარკმლის“ პრინციპის დანერგვა და განვითარება (იქ, სადაც ეს შესაძლებელია);
- „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპის დანერგვა და განვითარება (იქ, სადაც ეს შესაძლებელია);
- უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა;

- ეთიკის ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- კერძო სექტორის მარეგულირებელი პროცედურების ბოროტად და არასწორად გამოყენების არდაშვება, მათ შორის, ბაზარზე დაშვების და უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტების მიღების პროცედურების დახვეწა;
 - მოქალაქეების (მომსახურების მიმღები პირების) შენიშვნებისა და წინადადებების მიღების მექანიზმების ამოქმედება, დარღვევებზე სწრაფი რეაგირება და საჯარო სექტორში კორუფციული რისკების შეზღუდვისა და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ე.წ. ოუტსოურცინგის გამოყენება (სადაც ეს შესაძლებელია);
 - ზედამხედველობის სამსახურების სტრუქტურისა და მუშაობის დახვეწა, ზედამხედველობის პროცედურების ბოროტად და არასწორად გამოყენების არდაშვება;
 - ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების კანონმდებლობით განსაზღვრა;
 - შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

1.3. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დახვეწა და კონტროლი მიზანი:

საბოლოო მიზანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მაქსიმალური დახვეწა და მისი გამჭვირვალობის გაზრდის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები, განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადგენილი ინსტრუქციების აღსრულების

ზედამხედველობა და ინსტიტუციურად დაიხვეწოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. ამასთან, გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია (ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე), ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვების მაქსიმალურად შეზღუდვა.

არსებული ვითარება:

სახელმწიფო შესყიდვები კორუფციისადმი ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე სისტემაა, რადგან აღნიშნული პროცესით ხდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების უმეტესი წილის განკარგვა. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ხარვეზების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მოქმედ კანონმდებლობაში რამდენჯერმე შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, კანონმდებლობა ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას; განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეორგანიზაცია და იგი ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საჭიროა გაძლიერდეს რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების ზედამხედველობა და, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, სწრაფი სამართლებრივი რეაგირების უზრუნველყოფა. აუცილებელია კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რათა სახელმწიფო შესყიდვები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამის, მწყობრ, თანმიმდევრულ და გამჭვირვალე სისტემად ჩამოყალიბდეს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- შესყიდვების მაქსიმალურად დეტალიზებული სისტემის ჩამოყალიბება გამჭვირვალობის, შეჯიბრებითობისა და გადაწყვეტილების ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით;
- საჯარო კონტროლის მექანიზმების შემუშავებით შესყიდვების პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მათ შორის, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის გზით;
- მომსახურების ან/და საქონლის მომწოდებლის შერჩევის პროცედურებში მონაწილეობის და შერჩევის მკაფიო კრიტერიუმების წინასწარი დადგენა, გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტურობის პრინციპითა და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა;
- ელექტრონული მომსახურებისა და ელექტრონულ სისტემაზე დაყრდნობილი შესყიდვების პრაქტიკის დანერგვა (სადაც ეს შესაძლებელია);
- სახელმწიფო შესყიდვების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ეყრდნობა ვებ-ინტერფეისის გამოყენებას;
- შესყიდვების პროცესის რევიზიის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;
- შესყიდვების პროცესისათვის პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება, როგორცაა, მაგალითად, მათი კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

- სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება და გათვალისწინება;

- შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

1.4. საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმირება

მიზანი:

საბოლოო მიზანია ფინანსური რესურსების მართვისა და საჯარო ხარჯების კონტროლის და ეფექტიანობის გაუმჯობესება, ასევე ფინანსური მენეჯმენტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

არსებული ვითარება:

საჯარო ფინანსების სისტემის ფუნქციონირება 2003 წლის შემდეგ საჯარო სექტორში გატარებული რეფორმების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მიუხედავად მიღწევებისა, ფინანსური მართვის მენეჯმენტის სისტემა ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას, მათ შორის, ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვის კუთხით.

კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების მენეჯმენტის პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებს. მათი მონაწილეობა, მთავრობის მიერ შემუშავებული საბიუჯეტო პოლიტიკისა და დასახული მიზნების გათვალისწინებით, შესაძლებელია მიმდინარეობდეს საჯარო ხარჯების მენეჯმენტის სამ სხვადასხვა ეტაპზე:

- ბიუჯეტის ფორმირება და ანალიზი, რომ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობითა და მათი

მონაწილეობით მოხდეს ბიუჯეტის ფორმირება – ამოცანების, მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრიდან ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის შეჯერებამდე;

- ხარჯების მონიტორინგი და მიკვლევადობა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ, თუ რამდენად მიზნობრივად განიკარგება საბიუჯეტო სახსრები;

- სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტების გაწეულ ხარჯებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ფინანსური მართვის მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვა;
- სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურების ხელშეწყობა;
- საჯარო ხარჯების მონიტორინგი და ინფორმაციის საჯაროობა;
- საჯარო სამსახურის დაფინანსების გამჭვირვალობა, საჯარო ფინანსების მენეჯმენტში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა და განვითარება;
- საქართველოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების ხარჯვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

- შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

1.5. საბაჟო და საგადასახადო სისტემების დახვეწა

მიზანი:

საბოლოო მიზანია საბაჟო და საგადასახადო სისტემების ინსტიტუციურად ისეთი სახით ჩამოყალიბება და დახვეწა, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კორუფციის შესაძლებლობა.

არსებული მდგომარეობა:

კორუფციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რისკის ზონად რჩება საბაჟო-საგადასახადო სფერო. ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში ეს ინსტიტუციები კორუფციის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამ ახლადრეფორმირებული სტრუქტურებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა.

აღსანიშნავია ის მიღწევები, რომელიც გატარებული რეფორმების შედეგად ამ ინსტიტუტებში მოხდა. ერთეული იშვიათი შემთხვევების გარდა კორუფცია მთლიანად აღმოიფხვრა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნულ სისტემათა ინსტიტუციური განმტკიცება და ამ გზით მიღწევათა შენარჩუნება.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია საგადასახადო და საბაჟო სისტემების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება, რაც ასევე გაზრდის სახელმწიფო შემოსავლებს და შეამცირებს ფულის არამიზნობრივი გადინების შესაძლებლობებს.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით გაღებული ქრთამი - ე.წ. ადმინისტრაციული კორუფცია. საჭიროა უფრო მეტად დაიხვეწოს საგადასახადო სისტემა,

რათა გადასახადებისათვის თავის არიდებას არ ჰქონდეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ბიზნესისათვის.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- საბაჟო და საგადასახადო სისტემების ტრანსპარენტულობის გაზრდა;
- ადამიანური რესურსების შერჩევის პრინციპების სრულყოფა და დახვეწა, მათ შორის, ამ მიმართულებით ტრანსპარენტულობის გაზრდა;
- ინტერპრეტაციისა და დისკრეციის დაბალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნული ინსტიტუტების მუშაობის წარმმართველი რეგულირების მკაცრი ჩამოყალიბება და ტარიფების შეძლებისდაგვარად მკაფიოდ განსაზღვრა;
- კორუფციის მაღალი რისკის მქონე თანამდებობებზე პირთა შერჩევის ადეკვატური პროცედურების არსებობა;
- საბაჟო და საგადასახადო სისტემების მოხელეებისათვის ქვეყნის განვითარების დონის გათვალისწინებით ადეკვატური სახელფასო პოლიტიკის არსებობა;
- საბაჟო და საგადასახადო სისტემების მოხელეების მიერ მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისა და კორუფციული რისკების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით მათთვის შესაბამისი განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა;
- ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვა;

- ელექტრონული მომსახურების მაქსიმალურად გამოყენება;
- რისკის შეფასების საფუძველზე კონტროლის განხორციელება;
- შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

2. კერძო სტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და კორუფციისაგან გათავისუფლება

მიზანი:

საბოლოო მიზანია სამართლიანი, კონკურენტუნარიანი, ჭარბი სახელმწიფო კონტროლისაგან თავისუფალი და გამჭვირვალე კერძო სექტორის შექმნა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად და სწრაფ განვითარებას. აღნიშნული მიზანი მიიღწევა კერძო სექტორში კორუფციული ქმედებების გამოვლენისა და აღმოფხვრის, სრულყოფილი კონკურენტული გარემოს შეიქმნის, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და შემუშავების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მექანიზმების დახვეწისა და მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვის პირობებში.

არსებული ვითარება:

ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა კერძო სექტორის სისტემა. გატარდა რეფორმები ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის, ტექნიკური რეგულირების, სამეწარმეო სამართლისა და საგადასახადო კუთხით, რამაც უზრუნველყო სამეწარმეო გარემოსათვის ადმინისტრაციული

ბარიერების ოპტიმიზაცია და ბიზნესის დიდი ნაწილის ლეგალიზება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო გამართული რეგულირების სისტემის მისაღწევად. საჭიროა ამ რეფორმებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი მონიტორინგი და სწრაფი რეაგირება დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში.

რეატიფიცირებულ იქნა ევროპის საბჭოს „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია“. კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მოხდა კერძო სექტორში კორუფციული ქმედებების კრიმინალიზაცია.

სახელმწიფო მხარს უჭერს და ხელს უწყობს ქვეყანაში კორპორაციული მართვის გამჭვირვალე პრინციპების დამკვიდრებას.

მეტი გამჭვირვალობა საბანკო საქმიანობაში უზრუნველყოფს საექვო ტრანზაქციების გამოვლენასა და „ფულის გათეთრების“ არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმოფხვრას. აღნიშნული მიმართულებით მეტ კონტროლს საჭიროებს არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები და ბიზნესის ის სახეობები, რომლებიც ხშირად გამოიყენება „ფულის გათეთრებელთა“ მიერ.

გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საჭიროა ორგანიზაციებზე მეტი ზედამხედველობა აუდიტის პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციის ზრდას, რადგან არაკონკურენტულ გარემოში ძნელია სახელმწიფო მოსყიდვების მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა. სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა, ერთი მხრივ, არ იძლევა ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების

შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, აფერხებს ქვეყნის განვითარების პროცესს. ასეთ გარემოში იქმნება არაკონკურენტუნარიანი ბაზარი.

კანონები და რეგულირების მექანიზმები, რომელთა შემუშავება და მიღება გარკვეული კომპანიების ინტერესებიდან გამომდინარე ხდება, არ იძლევა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის შესაძლებლობას და ხელს უწყობს არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას.

კერძო სექტორსაც შეუძლია ხელი შეუშალოს კორუფციის ზემოაღნიშნულ ფორმებს, თუ არ შევა გარიგებაში სახელმწიფო მოხელეებთან და დაეყრდნობა ბიზნესის ეთიკის პრინციპებს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ეკონომიკური პოლიტიკის მდგრადი ლიბერალიზება;
- კონკურენციის გაძლიერებისთვის პირობების შექმნა;
- იქ, სადაც აუცილებელია რეგულირება და არაა მიზანშეწონილი მისი გაუქმება, რეგულირების მინიმიზება და მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ბაზარზე შესასვლელი რეგულირების მექანიზმების გამარტივება;
- შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- კერძო სტრუქტურების გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მათ შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამფუძნებლებისა და მმართველი რგოლის შესახებ;
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, მათ შორის, ყოფილი საჯარო მოხელეებისათვის კერძო სექტორში გადასვლის შემდეგ;

- კერძო კომპანიებში შიდა აუდიტისათვის საჭირო პირობებისა და მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- კერძო კომპანიებში ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- ფართო საზოგადოების, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩაბმა კორუფციასთან ბრძოლაში და ამ მიზნით ზომების შემუშავებაში;
- საზოგადოების ფართო ინფორმირება კორუფციის, მისი მიზეზების, მასშტაბების, რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
- ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველობის შესაბამისი მექანიზმების დახვეწა, რომლებიც უზრუნველყოფენ ფულადი და სხვა სახის ფასეულობათა მიმოქცევის გამჭვირვალობის კონტროლს, საექვო ტრანზაქციებზე ინფორმაციის მოპოვებას, შენახვასა და გაცვლას (მათ შორის, საერთაშორისო დონეზე) და სხვა;
- ფინანსური ინსტიტუტებისათვის ფულის გათეთრების შესაბამისი საერთაშორისო, რეგიონალური და რეგიონთაშორისი ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მითითებების გათვალისწინება;
- შესაბამის მარეგულირებელ სტრუქტურებს შორის საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა.

3. მართლმსაჯულების სისტემის საქმიანობის დახვეწა

მიზანი:

საბოლოო მიზანია დამოუკიდებელი, სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემისა და ეფექტიანი სამართალდამცავი ორგანოების შექმნა.

არსებული ვითარება:

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება 2004 წლის შემდეგ ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ენერგიული და ქმედითი ნაბიჯების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული.

საბჭოთა დროის კორუმპირებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა რეფორმის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა. მთავრობა მოწოდებულია ამ მიზნის მისაღწევად და უკვე მრავალი ცვლილებაა მომხდარი. მათ შორის, უმნიშვნელოვანესი პროგრესია მიღწეული (რამაც შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუტების ჯეროვანი შეფასება დაიმსახურა) სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი ხელისუფლების ზემოქმედებისაგან გათავისუფლების მიმართულებით. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა საქართველოს პრეზიდენტისათვის მოსამართლეთა პირდაპირი დანიშვნის უფლების ჩამორთმევა. თავად მოსამართლეთა დანიშვნის წესმაც გარკვეული სახეცვლილება განიცადა. მართლმსაჯულების სისტემის დახვეწის მიზნით შემუშავდა ფუნდამენტური რეფორმის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდას. სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია

რეფორმებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების მონიტორინგის გაუმჯობესება.

სასამართლო სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით, GRECO-ს რეკომენდაციების შესაბამისად, განხორციელდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაცია. მას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. რეფორმირებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები არიან: საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული საქართველოს საერთო სასამართლოს 8 მოსამართლე, საქართველოს პარლამენტის 4 წევრი და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 2 წევრი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად ნიშნავს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს პრეზიდენტს ასევე ჩამოერთვა მოსამართლეთა დანიშვნის უფლება, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა. შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა. სასამართლო სისტემის მოხელეთა მოტივირებისათვის გაიზარდა მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა შრომითი ანაზღაურება. გადამუშავდა და დაიხვეწა მართლმსაჯულების სექტორში ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები. განისაზღვრა მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობა და ტესტირებისა და სხვა ღონისძიებების საფუძველზე მოხდა მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა.

სისტემა საჭიროებს მეტ გამჭვირვალობას. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოება ფლობდეს მაქსიმალურად დეტალურ ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოების პროცედურების შესახებ. საჭიროა

რეფორმების სამოქმედო გეგმის სრულყოფილი და ეფექტიანი შესრულება.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- სასამართლო დამოუკიდებლობის გამყარება;
- საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღების ობიექტურობის გაზრდის მიზნით ზედმეტი რეგულირების გაუქმება;
- პროცედურულად მაქსიმალურად დეტალიზებული და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;
- პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა და მოსახლეობისათვის კონსულტაციის გაწევა;
- მართლმსაჯულების სფეროში მომსახურების პოლიტიკის დახვეწა და სამოსამართლო ეთიკის წესებით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა;
- აღმასრულებლებელი ხელისუფლების მიერ სასამართლო სისტემის საქმიანობაში ჩარევის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმის დახვეწა და პრევენცია;
- მოწმეთა დაცვის სისტემის დახვეწა;
- საზოგადოების ინფორმირების უფრო მაღალი დონის მიღწევა ნდობის ხარისხის გასაზრდელად;
- ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება;

- მოსამართლეთა სახელფასო სისტემის დარეგულირება და სრულყოფა;
- მოსამართლეთა უვადო დანიშვნა თანამდებობაზე.

4. კანონმდებლობის სრულყოფა ანტიკორუფციული თვალსაზრისით

მიზანი:

საბოლოო მიზანია ეფექტიანი ანტიკორუფციული საკანონმდებლო ბაზის შექმნა და კორუფციისაგან თავისუფალი საზოგადოების ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტ გამჭვირვალობას, მომზადდეს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის, დეკლარაციებში ქონების აღრიცხვისა და პროცედურის დახვეწის მიზნით; აგრეთვე აუცილებელია ევროპის საბჭოს „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციასთან“ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება.

არსებული ვითარება:

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა კორუფციის შემთხვევები და აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კანონმდებლობის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ საჭიროა გარკვეული ძალისხმევა.

საჭიროა კანონმდებლობის ანტიკორუფციული კუთხით დახვეწა, რომ იგი იყოს მარტივი, ლაკონური, შეძლებისდაგვარად ამომწურავი და

არაორაზროვანი (რათა თავიდან ავიცილოთ მისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე აღქმა).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონები შეესაბამებოდეს ქვეყნის ინსტიტუციების შესაძლებლობებს (კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების კუთხით).

სახელმძღვანელო პრინციპები:

- კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური გაძლიერება;
- თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფი მექანიზმების შემუშავება;
- ანტიკორუფციულ კანონმდებლობაზე მუშაობისას კანონების ქვეყნის ინსტიტუციების შესაძლებლობებთან შესაბამისობის გათვალისწინება (კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების კუთხით);
- კანონები უნდა იყოს იოლად გასაგები და მკაფიოდ განსაზღვრული, ინტერპრეტაციისა და დისკრეციის შემღებებისდაგვარად დაბალი ხარისხით;
- შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკისა და სპეციალიზებული ინსტიტუტების, პირველ რიგში OECD ACN-ის და GRECO-ს რეკომენდაციების გამოყენება;
- თანაზომიერება (თანაფარდობა) ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან და კორუფციის რისკებთან.

5. კორუფციის პრევენცია

მიზანი:

საბოლოო მიზანია პრევენციის დონეზე სპეციალიზებული ინსტიტუტების მიერ შესაბამისი ზომების მიღებისა და რეგულირებების შექმნის გზით კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა.

არსებული ვითარება:

2005 წელს მიღებულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის გრძელვადიანი ხედვის პრინციპებს აყალიბებდა. სტრატეგიის საფუძველზე მიღწეული შედეგების განმტკიცებისა და შემდგომი გაღრმავების მიზნით, აგრეთვე ახალი რეალობისა და ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით იქმნება ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია.

2008 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს. საბჭოს წევრები არიან როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები. საბჭო პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და შესრულების მონიტორინგისათვის, საბჭო ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს აგრეთვე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე განხორციელებულ პოლიტიკასა და ნაბიჯებს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- საბჭოს ინსტიტუციური განმტკიცება და მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიების გაზრდა;
- საკანონმდებლო დონეზე საბჭოს ფინანსური თუ ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის გარანტირება;
- საბჭოს საქმიანობის გაძლიერება და ფართო საზოგადოებისათვის მისი მუშაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საბჭოს მუშაობაში ფართო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩაბმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

6. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

მიზანი:

საბოლოო მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და ლიბერალური დემოკრატიული სტანდარტების მქონე პოლიტიკური გარემოს შექმნა, არსებული პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკური კულტურის ამაღლება; პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და ხარჯების განხორციელების ადეკვატური და მკაფიო წესების დადგენა, ამასთანავე, ამგვარი წესების დადგენა საერთაშორისო გამოცდილებისა და შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციათა გაზიარების შედეგად.

არსებული ვითარება:

ქართული დემოკრატია შედარებით ახალგაზრდაა, მისი უახლესი პერიოდის სახელმწიფოებრიობის ისტორია 20 წელიწადზე ნაკლებს ითვლის. ეს ბუნებრივია, გავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების განვითარების სტანდარტებსა და დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში პარტიული მშენებლობისა და განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია.

ზოგადად, პოლიტიკური სივრცისა და პოლიტიკურ პარტიათა განვითარების დონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების მდგომარეობა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები რეგულირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. იგი განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების მიერ დაფინანსების მოპოვებასა და ხარჯების განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაფინანსების გამჭვირვალობასთან (კერძოდ წარმომავლობასთან) დაკავშირებულ საკითხებს.

აუცილებელია აღნიშნული რეგულირების შემდგომი დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული საკითხები პოლიტიკურ პარტიათა შორის დიალოგისა და პოზიციათა შეჯერების შედეგად წყდება.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპების შემდგომი დახვეწის მიზნით შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკისა და სპეციალიზებული ინსტიტუტების, პირველ რიგში OECD ACN-ის მეორე რაუნდისა და GRECO-ს მესამე რაუნდის მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენება;

- საჯარო სამსახურისა და პოლიტიკური პარტიების, მათი საარჩევნო კამპანიების დაფინანსების (და ხარჯების) გამჭვირვალობის გაუმჯობესება; მიკვლევადობის პრინციპებით ხელმძღვანელობა;

- ხელისუფლებას, პოლიტიკურ ძალებს, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის შედეგად ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შემდგომი დახვეწა ზემოთ მოყვანილი სტანდარტებისა და პრინციპების გათვალისწინებით;

- გადაწყვეტილებათა მიღება პოლიტიკურ პარტიათა დიალოგისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის გარშემო შექმნილი დიალოგის ფორმატების გამოყენების გზით;

- მონიტორინგის, ანგარიშგების, პრევენციისა და სანქციების გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.